MES 6 23 0001597699

24/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლა
მანანა ჩალაბაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლა
ცირა ბრეგვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედასაზანოს N3 საჯარო სკოლა
ხათუნა კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა
მაია კვინიკაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ვაჟა - ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის ს აჯარო სკოლა
ცისნამი აზრომელაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა
ნინო ჩიხლაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა
ნანა გიორგაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა
ონისე ცქიტიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლა
მარინა წამალაიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):
სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
მაია ლაპიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მერი ქვრივიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მანანა ცუცქირიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო მიმინოშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ელისო ვადაქარია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
მამუკა ხამხაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
გოჩა შუბითიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ვახტანგი კურცხალია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნატო გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ლიკა ხვედელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
დავით ჩივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლელა წურწუმია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ნებიერიძე - უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი
თამარ დეკანოსიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნატო გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მიხეილ გაფრინდაშვილი სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ნინო მუმლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ცისანა კობახიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ხატია ჭალიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაირა მამუკელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ვაჟა - ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის ს აჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ირმა ტატიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ელისაბედ ბუსხრიკიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

შორენა ტყემალაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
დავით ჭეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ეთერ მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
შორენა ტყემალაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნათია ღოღობერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ეთერ ბოკელავაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ჩალახეშაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ელენე კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
გოგი თოდუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნანა კასრაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ლევან მადათოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თამარი ოღლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ მატიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 10 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან მადათოვმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის მეხუთე საკითხად გადატანასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და საბჭოს დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. **სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ლაგოდეხში, რუსთაველის ქუჩა N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 700 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 700 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული იყო პასუხისმგებლობა შენობის და ეზოს მოვლა-პატრონობის კუთხით. ექსპერტმა ისაუბრა კათედრების თანამშრომლობის შესახებ, ასევე, ფორმალური და არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის კურსდამთავრებულებთან აქტიურ ურთიერთობაზე. ზემოაღნიშნული გარემოებები კი განაპირობებდა სკოლის მაღალ ავტორიტეტსა და ნდობას ადგილობრივ თემში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში იყო სპორტული მოედანი, რომელიც არ იყო კეთილმოწყობილი, კერძოდ, არ იყო ხელოვნური საფარით დაფარული, თუმცა, სკოლის განცხადებით და ეზოს ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ აღნიშნული მოედნის გამოყენება შესაძლებელი იყო სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის.
ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შეთანხმებული „სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა ვიზიტის პერიოდში მიმართა შესაბამის სამსახურს და წარმოადგინა მიწერილობა. ექსპერტმა, ასევე, განმარტა, რომ შენობა-ნაგებობას გავლილი ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების კონტროლი სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ, თუმცა სკოლას მიღებული არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ზემოაღნიშნული შეფასება შეიცვალა. ექსპერტის თქმით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო

რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ რამ შეუშალა დაწესებულებას ხელი, რომ დაფიქსირებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები აღმოფხვრილიყო. სკოლის დირექტორმა, მანანა ჩალაბაშვილმა განმარტა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების აღმოფხვრისთვის მუშაობა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას შესყიდული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის შესაბამისი რეაქტივები და რესურსები. ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა აღნიშნა, რომ შესყიდვების დოკუმენტაციაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის შესაბამისი რეაქტივები და რესურსები სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი.
გარდა ამისა, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, თუ ვინ მუშაობდა მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მობილობის შესახებ დოკუმენტის შემუშავებაზე. სკოლის დირექტორმა, მანანა ჩალაბაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული იყო დირექტორისა და დირექტორის მოადგილის მიერ. აქვე, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, დაფიქსირებული იყო სხვა სკოლის სახელწოდება და მიმართა სკოლას, გაესწორებინათ აღნიშნული ხარვეზები.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის დირექტორს გარკვეული რეკომენდაციები გაუზიარა, კერძოდ, სკოლას გამოეყენებინა დამტკიცებული ტიტული, გარდა ამისა, გადაეხედათ სამოქმედო გეგმისათვის, რადგან მასშიც ფიქსირდებოდა გარკვეული უზუსტობები.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ იყო სასკოლო კურიკულუმებში უზუსტობები, კერძოდ, რამდენიმე საგნის კურიკულუმი იყო ცარიელი. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ და კურიკულუმების შედგენის პროცესი იყო მესამე თაობის ეროვნულ გეგმაზე მორგებული. გარდა ამისა, იყენებდნენ წინარე გამოცდილებას, თუმცა, ასევე, ჰქონდათ მზაობა იმისა, რომ გაეუმჯობესებინათ აღნიშნული მიმართულებით მუშაობა. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლამ დამატებით წარმოადგინა გარკვეულ საგნებში ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევების შედეგად შესწორებული კურიკულუმები.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარს არ უჭერდნენ სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 233137717) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ლაგოდეხი, რუსთაველის ქ. N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ლაგოდეხი, რუსთაველის ქ. N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ლაგოდეხი, რუსთაველის ქ. N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა -** ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები -** 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ჭიათურაში, ტოლსტოის ქუჩა N4-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყო ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლის შენობა აშენებული იყო 1911 წელს, იყო 3 სართულიანი და შედგებოდა სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ფლიგელისაგან (სამივე ფლიგელი სხვადასხვა დროს იყო აშენებული). ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა საჭიროებდა რემონტს.
ექსპერტმა განმარტა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, რადგან სკოლას არ ჰქონდა შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და, ასევე, არ ჰქონდა დასკვნები შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რამდენად იყო სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმები განვითარებული და იგეგმებოდა თუ არა ცვლილებები.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მასწავლებელთა გადამზადების პროექტში იყო ჩართული, ხოლო დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციები სრულად იყო გაზიარებული.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი- 2
საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარს არ უჭერდნენ სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 215606280) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ჭიათურა, ტოლსტოის ქ. N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ჭიათურა, ტოლსტოის ქ. N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ჭიათურა, ტოლსტოის ქ. N4

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები.

3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საზანოში, სასახლის ქუჩა N2-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 211 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 211 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო მრავალ პროექტში, მათ შორის USAID-ის პროგრამაში სამოქალაქო განათლების მიმართულებით, სკოლაში არჩევით საგნად იყო „მეწარმეობის საფუძვლები“, გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის კლუბი.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. 3.1 და 3.4 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ია ვარდოსანიძემ განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო დაწყებითი 1-4 კლასისთვის სკოლას ჰქონდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებული. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა წურწუმიამ კი დაამატა, რომ საბუნებისმეტყველო

მეცნიერებების მიმართულებით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განმავითარებელ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად ახორციელებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული საგნები საქართველოს ისტორია, პროექტი მოქალაქეობაში და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორმა, ხათუნა კაპანაძემ განმარტა, რომ სკოლაში ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და, ასევე, იყო პროექტები სამოქალაქო განათლებაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. აქვე, სკოლის დირექტორმა დააზუსტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა სასკოლოო სასწავლო გეგმის პროექტი წარმოდგენილი, ხოლო მოცემულ მომენტში დამტკიცებული ჰქონდათ სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ზემოაღნიშნული საგნები სრულად იყო გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ რა პოლიტიკა ჰქონდა სკოლას მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა პროექტებში. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჩივაძემ განმარტა, რომ მოსწავლეთა ინიციატივები მხარდაჭერილი იყო სკოლის მიერ, რადგან სკოლაში ტარდებოდა მრავალფეროვანი პროექტები, რომელთა განხორციელებაშიც მოსწავლეთა ჩართულობა დასტურდებოდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯაროსკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 211 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს და განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 230078279) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 211 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა -** ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები -** 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან საბჭოს წევრი წარმოადგენდა რესურსცენტრს, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

თბილისის N36 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გ. სხულუხიას N4-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 775 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 775 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით, კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ აღნიშნა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულების მმართველობითი სტილი დაფუძნებული იყო დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში V- XII კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ და შეესწავლათ იტალიური ენა. ვიზიტის პერიოდში სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან და გეგმავდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამის განხორციელებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. სკოლა გეგმავდა სხვადასხვა სახის პროექტებს, მხიარულ სტარტებს და ლიტერატურულ საღამოებს. აღნიშნული პროექტების დახმარებით ხდებოდა მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო სრულად ადაპტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნებზე და სკოლის დირექტორს სთხოვა გაეზიარებინა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია. სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო „შ.პ.ს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ შედგენილი სკოლის შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში სკოლა ელოდებოდა საბოლოო მიღება- ჩაბარების დოკუმენტს. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახურის მიერ შენობის შემოწმების შედეგად დაფიქსირებული იყო რიგი შეუსაბამობები, რომელთა აღმოფხვრაზეც სკოლა მუშაობდა მოცემულ მომენტში. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად მარტივი იყო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინება. სკოლის დირექტორის, მაია კვინიკაძის განცხადებით დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლისთვის არ წარმოადგენდა სირთულეს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ერთ-ერთი საგნის

შემთხვევაში, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არ შეესაბამებოდა მატრიცებში წარმოდგენილს. სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლაში ეწყობოდა კათედრების შეხვედრები და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით და თანამშრომლობით შეიმუშავებდნენ აღნიშნულ დოკუმენტაციას. დირექტორმა, ასევე, განმარტა, რომ სკოლის მხრიდან საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების დროს ტექნიკური ხარვეზის გამო წარმოდგენილი იყო არასწორი მასალა, რაც ვიზიტის დროს გასწორდა და ექსპერტებს მიეწოდათ სკოლის მხრიდან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ როგორ შეაფასებდა მასწავლებელთა მზაობას, რამდენად ჰქონდათ მათ გააზრებული კურიკულუმში გაწერილი სასწავლო პროცესების დროს განსახორციელებელი საკითხები. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ევგენი გუგულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები მოძიებული ჰქონდათ სხვადასხვა წყაროდან. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმის, რომ განეხორციელებინათ მათ მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 775 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887661) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 775- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

5. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან მადათოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვილობით და საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ ოღლიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა ჰქონდა რეაქტივები, რომლებიც იყო დასაწყობებული მოსწავლეებისგან იზოლირებულად. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეაქტივებით ცდების ჩატარება უშუალოდ საკლასო ოთახებში ხორციელდებოდა. ექსპერტმა ყურადღება გამახვილა კომპლექსურ დავალებებზე და აღნიშნა, რომ თითოეული კომპლექსური დავალება მოსწავლის საჭიროებებზე იყო მორგებული.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შეტანილი იყო ცვლილება, მაგრამ არსად ფიქსირდებოდა მიზეზი, თუ რატომ მოხდა აღნიშნული ცვლილება. საბჭოს წევრმა სკოლას მისცა რეკომენდაცია, აღნიშნულ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის დროს, ყოველთვის დაეფიქსირებინათ ცვლილების მიზეზი. სკოლის დირექტორმა, მარინა წამალაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლა სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, თუ რა მდგომარეობა იყო მოცემული დროისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მარინა წამალაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობდა მუშაობა და უახლოეს მომავალში სკოლა მოიპოვებდა დოკუმენტაციას. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა სკოლაში არსებული ადაპტირებული გარემოთი. მარინა წამალაიძის განცხადებით, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გაკეთებული იყო ხარჯთაღრიცხვა და სკოლა ელოდებოდა დაფინანსებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო თედორაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებთან დაკავშირებით გაცემული ოყო რეკომენდაციები მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმის, რომ განეხორციელებინათ საჭირო ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 236087710) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა.

6. სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ თონეთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 240 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ასევე, მეტწილი შესაბამისობით შეფასებული იყო სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების 2.2 კომპონენტი.

ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კოლეგიალობის მაღალი კულტურა, რაც გამოიხატებოდა ურთიერთთანამშრომლობასა და გამოცდილების აქტიურ გაზიარებაში, როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე მთლიან სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის ბიბლიოთეკასთან და ახორციელებდა ერთობლივ პროექტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის ინფრასტრუქტურაზე და ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ როდის და რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლას. ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორისგან მიღებული ინფორმაციით 2009-2010 და 2013-2014 სასწავლო წლებში სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებული ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. აღნიშნული სამუშაოების დროს მოხდა სკოლის შენობის კარ-ფანჯრებისა და სახურავის შეკეთება. ექსპერტის განცხადებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისგან მიღებული ინფორმაციით, მომდევნო სასწავლო წლიდან დაგეგმილი იყო სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სკოლის დირექტორმა, ცისნამი აზრომელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილი იყო 2023-2024 სასწავლო წელს, თუმცა მოხდა გარკვეული ცვლილებები და სკოლაში სარემონტო სამუშაოები განხორციელდებოდა 2024-2025 სასწავლო წელს.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ირიცხებოდა თუ არა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში არ ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, შესაბამისად, სკოლაში არ არსებობდა რესურსოთახი.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და არც კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა სკოლა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას და როგორ აფასებდნენ აღნიშნულ საკითხებს შესაბამისი საგნობრივი ექსპერტები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეთერ ბროლაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით, სკოლაში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო სკოლას მოცემული დროისთვის არ ჰქონდა შეძენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის დამატებითი რეაქტივები და აღჭურვილობა. ექსპერტის განცხადებით, სკოლა მომდევნო სასწავლო წელს გეგმავდა აღნიშნული რესურსების შეძენას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მათ არ ჰქონდათ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. თუმცა, სიახლეების მიმართ მზაობა მასწავლებლების მხრიდან მაღალი იყო. ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, გიორგი ჩაჩუამ აღნიშნა, რომ საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეები აქტიურად იყენებდნენ ბუკებს. სკოლას არ ჰქონდა ინტერნეტი, თუმცა ინტერნეტის დაკავშირება ხდებოდა პირადი მობილური ტელეფონებიდან. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანი იყო გამართული კომპიუტერული ლაბორატორიის არსებობა. სკოლის დირექტორმა, ცისნამი აზრომელაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახურის მხრიდან მოხდა სკოლის დათვალიერება და მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ბოლომდე დაგეგმილი იყო სკოლის ინტერნეტიზაცია. ასევე, მისი თქმით, მიმდინარეობდა მუშაობა კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, სკოლის სრული რეაბილიტაციის დროს სად მოხდებოდა სასწავლო პროცესის განხორციელება. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის რეაბილიტაცია სავარაუდოდ განხორციელდებოდა საზაფხულო არდადეგების პერიოდში და ხელს არ შეუშლიდა სასწავლო პროცესს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაემთხვეოდა სასწავლო პერიოდს, პროცესები განხორციელდებოდა ახლო მდებარე საჯარო სკოლაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს და განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, არ იყო სკოლაში ადაპტირებული გარემო. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 230867087) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი თონეთი

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მთეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი თონეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი თონეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

7. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ საჩხერეში, ვ. ნოზაძის ქუჩა N19-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
დავით ჭეიშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა, ასევე, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა არაფორმალური განათლების საშუალებით ხელს უწყობდა მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესებს. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოსწავლეებს სთავაზობდნენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, აწვდიდნენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ, სკოლაში იწვევდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს კონკრეტული პროფესიის უკეთ გასაცნობად. ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით წარმოდგენილი ჰქონდათ სასწავლო პროექტები ,,რა ვუქნათ ჭიანჭველას“, ,,ქაღალდის შექმნა“, ,,მწვანე სახურავი“ და სხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა ეტაპზე იყო მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პროცესები, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები. სკოლის დირექტორმა, ნინო ჩიხლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროცესები უკვე დაწყებული იყო, კერძოდ, სკოლას უკვე ჰქონდა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში აღმოფხვრიდა სკოლა აღნიშნულ ხარვეზს. რაც შეეხებოდა შენობის მდგრადობას, სკოლამ მიმართა კონკრეტულ ორგანიზაციას, თუმცა დირექტორის განცხადებით, აღნიშნულმა ორგანიზაციამაც ვადები დაარღვია და სკოლა ისევ ელოდებოდა ექსპერტთა ვიზიტს შენობის მდგრადობის შესაფასებლად. ვებ-გვერდთან დაკავშირებით კი დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე განთავსებული ჰქონდა ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია საიტზე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო ევროპის დემოკრატიული საერთაშორისო ქსელის წევრი და სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა, თუ რამ განაპირობა მათი ამ ქსელში გაერთიანება. სკოლის დირექტორმა, ნინო ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სკოლის კურსი 2013 წლიდან მიმართული იყო ფორმალური თუ არაფორმალური განათლების გაუმჯობესებისკენ, ასევე, სკოლა ზრუნავდა სასკოლო კურიკულუმებში, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სხვადასხვა პროექტებში გაეთვალისწინებინათ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, შეექმნათ თანამშრომლობითი და უსაფრთხო გარემო. დირექტორის განცხადებით, სკოლა აქტიურად ახორციელებდა პროექტულ და კლუბურ აქტივობებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოსთვის ოთხი საგნის ინტეგრირებულ პროექტზე „რა უყვართ ჭიანჭველებს“, ვინაიდან წარმოდგენილ მასალაში პროექტის აღწერა იყო ბუნდოვანი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ტურიაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი ეხებოდა ჭიანჭველების რთულ ქცევას, ჭიანჭველის, როგორც სოციალური არსების. პროექტი კავშირში იყო და მოიცავდა მათემატიკას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ტექნოლოგიებს. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული პროექტი იყო საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ სკოლას მისცა რჩევა, მეტად სრულყოფილად და შინაარსობრივად აღეწერათ დოკუმენტურად დაგეგმილი პროექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირასსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლას(ს/კ: 239402678) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. N19
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. N19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. N19

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N27-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2000 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2000 მოსწავლისთვის.
ია ქურიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო

რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლაში გერმანიის ფედერაციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობის და ხელშეწყობის საფუძველზე, 2008 წლის სექტემბრიდან წარმატებით ხორციელდებოდა გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა (DSD პროგრამა). აღნიშნული პროგრამის ყოველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცემოდათ გერმანიის სახელმწიფო დიპლომები. პროგრამის მიზანი იყო სწავლებაში თანამედროვე, აპრობირებული მეთოდების დანერგვა. სწავლებას ახორციელებდნენ კვალიფიციური, გამოცდილი კადრები, რასაც ადასტურებდა მოსწავლეთა შედეგების ყოველწლიურად ზრდადი სტატისტიკა. გერმანულის სწავლებას ეთმობოდა დამატებითი საათები, რომელიც ხორციელდებოდა მე-3 კლასიდან სპეციალური პროგრამის შესაბამისად. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით ახორციელებდა სხვადასხვა წრეებს, კლუბებსა და პროექტებს.
ექსპერტმა, ასევე, პრეზენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსოთახი, ლაბორატორია, სველი წერტილები, რომელიც არ იყო ადაპტირებული და სპორტული დარბაზი, რომელსაც არ გააჩნდა იზოლირებული გასახდელები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ როგორ არეგულირებდა დღის წესრიგით სკოლა სპორტული დარბაზის გასახდელებით სარგებლობის საკითხს. სკოლის დირექტორმა, ნანა გიორგაძემ აღნიშნა, რომ იზოლირებული გასახდელების არარსებობის მიზეზი იყო სკოლაში არსებული არასაკმარისი ფართი, ხოლო რაც შეეხებოდა განრიგს, მას თავად სპორტის მასწავლებელი არეგულირებდა.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა ღონისძიებები ჰქონდა სკოლას გატარებული ან რას გეგმავდა მომავალში ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, ნანა გიორგაძემ განაცხადა, რომ სკოლას მოცემული მომენტისთვის უკვე მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის და განათლების და მეცნიერებების სამინისტროსთვის, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სკოლის ადაპტირებული გარემოთი უზრუნველყოფა.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, ასევე, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა საკმარისი იყო თუ არა ფართი მოსწავლეთა იმ რაოდენობისთვის, რაც სკოლაში ირიცხებოდა, კონკრეტულად იმ საწრეო სამუშაოებისთვის, რასაც სკოლა ახორციელებდა. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ ცვლაში, შესაბამისად, შენობაში არსებობდა შესაბამისი ფართი ნებისმიერი აქტივობის განხორციელებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის დირექტორმა, ნანა გიორგაძემ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად გადმოაგზავნა ცენტრში, რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნას, მათ უკვე გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება 112-თან და ელოდებოდნენ შემდგომ რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა , სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ასევე, სკოლაში არ იყო უზრუნველყოფილი ინკლუზიური გარემო. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლას(ს/კ: 211351384) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N27
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N27
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N27

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტის 3.5 კომპონენტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

9. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფლ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ქვალონში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ელენე კალანდაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ დასკვნა. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა საკლუბო აქტივობებს. კერძოდ, ფუნქციონირებდა კლუბი „ეკოქვანი“, რომელიც შექმნილი იყო ნიკო კეცხოველის სახელობის პროექტის ფარგლებში და სკოლა იყო ათეულში და დაკავებული ჰქონდა მე-8 ადგილი რეგიონის მასშტაბით. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბი ,,საქართველოს მომავალი ფერმერები“ (FFG). პარტნიორი ორგანიზაციები იყო GIPA და ორგანიზაცია WORD LINKI, ასევე სკოლის პარტნიორი იყო ჩრდილო ოკონის მხარის უმაღლესი სკოლის ამერიკის მომავალი ფერმერების (FFA) ორგანიზაცია. აღნიშნული პროექტით სკოლა წარდგა ექსპოჯორჯიაში მოწყობილ რესპუბლიკურ გამოფენაზე და სკოლათა შორის კონფერენციაზე ,,მდგრადი განვითარების მიზნები“.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა მეტი დეტალი გაეზიარებინა საბჭოსთვის, თუ როგორ აპირებდა სკოლა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას. სკოლის დირექტორმა, ონისე ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ, მათ მიმართეს შესაბამის სამსახურს წერილით და ელოდებოდნენ შემდგომ რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4

პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლას(ს/კ: 244556967) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 21:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა